



მე-7 განყოფილება
ფულადი ნაკადების
ანგარიშგება

- ფულადი სახსრების ეკვივალენტები
- ინფორმაცია, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში
- საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების წარდგენა
- საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების წარდგენა
- ფულადი ნაკადები უცხოურ ვალუტაში
- პროცენტები და დივიდენდები
- მოგების გადასახადი
- არაფულადი ოპერაციები
- ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების კომპონენტები
- სხვა განმარტებითი შენიშვნები
- სრულ ფასს-თან შედარება

- ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციებია, რომლებიც ადვილად გარდაიქმნება ფულადი სახსრების ცნობილ რაოდენობად და ისინი გამიზნულია მოკლევადიან ფულად ვალდებულებათა შესასრულებლად და არა ინვესტირების ან სხვა მიზნებისათვის.
- ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავს:
 - ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა მცირეა (იგულისხმება შესყიდვის თარიღიდან 3 თვე ან უფრო ნაკლები); და
 - ბანკის ოვერდრაფტს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ, ის მოთხოვნისთანავე დაფარვადია და წარმოადგენს საწარმოს ფულადი სახსრების მართვის პროცესის განუყოფელ ნაწილს.

მაგალითი - ფულადი სახსრების ეკვივალენტები

39

მაგ 1(3). საწარმოს ფულადი სახსრები განთავსებული აქვს ორთვიან დეპოზიტზე კომერციულ ბანკში ფიქსირებული განაკვეთით (წლიურად 5%). იმ შემთხვევაში თუ საწარმო ბანკიდან კაპიტალს გაიტანს ვადაზე ადრე, ის კარგავს მისაღები პროცენტის უმნიშვნელო ნაწილს. ვადის გასვლის შემდგომ კაპიტალის გატანისას, საწარმო აპირებს, რომ გამოიყენოს მიღებული შემოსავალი კრედიტორების ვალდებულების გასასტუმრებლად.

არის თუ არა დეპოზიტი ფულადი სახსრების ეკვივალენტი?

ფიქსირებული დეპოზიტები არის ფულადი სახსრების ეკვივალენტი.

მაგალითი - ფულადი სახსრების ეკვივალენტები

40

მაგ 2(4). საწარმო აქტიურ ბაზარზე ყიდულობს სამწლიან სახელმწიფო ობლიგაციას ვადის ამონურვამდე 2 თვით ადრე ფიქსირებული განაკვეთით (წლიურად 5%). ვადის გასვლის შემდგომ საწარმო აპირებს მიღებული შემოსავლით დაფაროს სავაჭრო ვალდებულებები. სამხელმწიფო ვალდებულებებს აქვს მინიჭებული AAA საკრედიტო რეიტინგი.

არის თუ არა ინვესტიცია ფულადი სახსრების ეკვივალენტი?

ინვესტიციის განხორციელება სახელმწიფო ობლიგაციაში, რომლებიც შეფასებულია AAA საკრედიტო რეიტინგით, არის ფულადი სახსრების ეკვივალენტი.

მაგალითი - ფულადი სახსრების ეკვივალენტები

მაგ 3(8). საწარმო აქტიურ ბაზარზე ყიდულობს სამწლიან სახელმწიფო ობლიგაციას ვადის ამოწურვამდე 2 თვით ადრე ფიქსირებული განაკვეთით (წლიურად 5%). საწარმო ფლობს აღნიშნულ ინსტრუმენტს, იმისთვის, რომ მოახდინოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებით სპეკულირება.

არის თუ არა ინვესტიცია ფულადი სახსრების ეკვივალენტი?

იმის გამო, რომ ინვესტიცია სპეკულაციური მიზნებით არის გაკეთებული (და არა მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად), ის არც ფულად სახსრებს მიეკუთვნება და არც ფულადი სახსრების ეკვივალენტებს.

მაგალითი – ფულადი სახსრების ეკვივალენტები

მაგ 4(9). საწარმოს ფულადი სახსრები განთავსებული აქვს ხუთწლიან დეპოზიტზე კომერციულ ბანკში ფიქსირებული განაკვეთით (წლიურად 5%). საანგარიშგებო თარიღისთვის დეპოზიტს, ვადის ამოწურვამდე დარჩენილი აქვს 2 თვე . იმ შემთხვევაში თუ საწარმო ბანკიდან კაპიტალს გაიტანს ვადაზე ადრე, ის კარგავს მისაღები პროცენტის მთლიან ნაწილს. ვადის გასვლის შემდგომ კაპიტალის გატანისას საწარმო აპირებს, რომ გამოიყენოს მიღებული შემოსავალი კრედიტორების ვალდებულების გასასტუმრებლად.

არის თუ არა დეპოზიტი ფულადი სახსრების ეკვივალენტი?

ინვესტიცია არ მიეკუთვნება არც ფულად სახსრებსა და არც ფულადი სახსრების ეკვივალენტებს, რადგანაც თითქმის 5 წელია რაც საწარმომ შექმნა დეპოზიტი (ის არ არის მოკლევადიანი).

შენიშვნა: არარელევანტურია ის ფაქტი რომ საანგარიშგებო თარიღისთვის დეპოზიტს ვადის ამოწურვამდე დარჩენილი აქვს 2 თვე.

ინფორმაცია, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ფულადი ნაკადები დაჯგუფებულია საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის მიხედვით.

საოპერაციო საქმიანობა საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი საქმიანობაა:

- საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების განწევიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები;
- დაქირავებულ პირთათვის გადახდილი ფულადი სახსრები;
- მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა ან დაბრუნება, თუ შეუძლებელია მათი უშუალოდ მიკუთვნება საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობაზე.

ინფორმაცია, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში

საინვესტიციო საქმიანობა მოიცავს გრძელვადიანი აქტივებისა და სხვა ისეთი ინვესტიციების შეძენასა და გასვლას, რომლებიც არ შედის ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემადგენლობაში:

- ძირითადი საშუალებების (მათ შორის, საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებების), არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას (გაყიდვისას) გადახდილი (მიღებული) ფულადი სახსრები;
- სხვა საწარმოების წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შეძენისას (გაყიდვისას) გადახდილი (მიღებული) ფულადი სახსრები;
- სხვა მხარეებზე გაცემული ფულადი სახსრები, ავანსის ან სესხის სახით;
- სხვა მხარეზე გაცემული ავანსებისა და სესხების დაბრუნების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;

ინფორმაცია, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში

საფინანსო საქმიანობის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები სახსრები:

- აქციებისა და სხვა წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად საწარმოში შემოსული ფულადი სახსრები;
- მესაკუთრეთათვის გადახდილი ფულადი სახსრები, საწარმოს აქციების შესაძენად ან გამოსყიდვის მიზნით;
- სავალო ფასიანი ქაღალდების, ობლიგაციების და სხვა მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სესხების გამოშვების შედეგად საწარმოში შემოსული ფულადი სახსრები;
- ნასესხები სახსრების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები;
- მოიჯარის მიერ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები.

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების წარდგენა

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები საწარმომ უნდა წარადგინოს:

- (ა) **არაპირდაპირი მეთოდით** - მოგება ან ზარალი კორექტირდება არაფულადი ოპერაციების შედეგებით, საოპერაციო შემოსავლებისა და გადახდების გადავადების ან დარიცხვების გათვალისწინებით, საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულად ნაკადებთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით; ან
- (ბ) **პირდაპირი მეთოდით** - მთლიანი შემოსული და გასული ფულადი ნაკადების ჩვენება ძირითადი კატეგორიების მიხედვით.

საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების წარდგენა

საწარმომ ცალ-ცალკე უნდა წარადგინოს საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებით შემოსული და გასული მთლიანი ფულადი ნაკადები, ძირითადი კატეგორიების მიხედვით.

შვილობილი საწარმოებისა და სხვა ეკონომიკური სუბიექტების შესყიდვიდან ან გაყიდვიდან წარმოქმნილი ჯამური ფულადი ნაკადები ცალკე უნდა აისახოს და კლასიფიცირდეს, როგორც საინვესტიციო საქმიანობა.

მაგალითი - საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების წარდგენა

მაგ 5. 01/01/2018 თარიღისთვის A საწარმომ შეიძინა B საწარმოს კაპიტალის 50% 110 ფე-ად, როდესაც B საწარმოს ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები უდრიდა 10 ფე-ს. 01/01/2018 თარიღიდან საწარმო A აკონტროლებს საწარმო B-ს (ე.ი საწარმო B წარმოადგენს საწარმო A-ს შვილობილ საწარმოს).

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში როგორ წარადგენს ჯგუფი B საწარმოს შესყიდვას ქვემოთ განხილულ თითოეულ შემთხვევაში:

1. საწარმო A ყიდულობს ფულადი სახსრების გადახდით საინვესტიციო საქმიანობა $-100 (-110+10)$
2. საწარმო A ყიდულობს კრედიტით (თანხას გადაიხდის შემდგომ წელს) საინვესტიციო საქმიანობა $+10 (-0+10)$
3. საწარმო A ყიდულობს საკუთარი კაპიტალის გადაცემით გამყიდველზე საინვესტიციო საქმიანობა $+10 (-0+10)$
4. საწარმო A ბანკიდან სესხულობს 110 ფე-ს და ფულად სახსრებს იყენებს საყიდლად საინვესტიციო საქმიანობა $-100 (-110+10)$, საფინანსო საქმიანობა $+110$

მაგალითი – საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების წარდგენა

49

მაგ 6. პირობები იგივეა რაც მე-5 მაგალითში თუმცა საწარმო A-ს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა საწარმო B-ზე (ე.ი საწარმო B არის საწარმო A-ს მეკავშირე საწარმო).

როგორ წარადგენს საწარმო A ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში საწარმო B-ს შეძენას ქვემოთ განხილულ თითოეულ შემთხვევაში:

1. საწარმო A ყიდულობს ფულადი სახსრების გადახდით საინვესტიციო საქმიანობა -110
2. საწარმო A ყიდულობს კრედიტით (თანხას გადაიხდის შემდგომ წელს) ფულადი ნაკადები არ არის
3. საწარმო A ყიდულობს საკუთარი კაპიტალის გადაცემით გამყიდველზე ფულადი ნაკადები არ არის
4. საწარმო A ბანკიდან სესხულობს 110 ფე-ს და ფულად სახსრებს იყენებს საყიდლად
საინვესტიციო საქმიანობა -110, საფინანსო საქმიანობა +110

უცხოური ვალუტით განხორციელებულ სამეურნეო ოპერაციებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები უნდა ასახოს საწარმოს სამუშაო ვალუტაში, ფულადი სახსრების მოძრაობის თარიღისთვის არსებული გასაცვლელი სავალუტო კურსის გამოყენებით.

სავალუტო კურსების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი არ მიიჩნევა ფულად ნაკადად. თუმცა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები უნდა გადაიანგარიშოს პერიოდის ბოლოს დაფიქსირებული სავალუტო კურსით. შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი უნდა წარადგინოს საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობისგან განცალკევებით.

პროცენტები და დივიდენდები

საწარმომ ცალ-ცალკე უნდა წარადგინოს პროცენტებისა და დივიდენდების სახით მიღებული და გაცემული ფულადი ნაკადები.

ფულადი ნაკადები წლების მანძილზე უცვლელად უნდა იყოს კლასიფიცირებული როგორც საოპერაციო, საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა.

მოგების გადასახადი

საწარმომ ცალკე უნდა წარადგინოს მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები, რომელიც კლასიფიცირებული იქნება, როგორც საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შესაძლებელია მათი უშუალოდ მიკუთვნება საფინანსო ან საინვესტიციო საქმიანობაზე.

როდესაც საგადასახადო ფულადი ნაკადები განაწილებულია ერთზე მეტი სახეობის საქმიანობაზე, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს გადახდილი გადასახადების მთლიანი თანხა.

საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული არაფულადი ოპერაციები უნდა გამჟღავნდეს განმარტებით შენიშვნებში.

არაფულადი ოპერაციების მაგალითებია:

- (ა) აქტივების შეძენა მათ შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებული ვალდებულებების აღებით, ან ფინანსური იჯარის მეშვეობით;
- (ბ) საწარმოს შეძენა წილობრივი ინსტრუმენტების ემისიით; და
- (გ) სავალო ვალდებულებების კონვერტაცია საკუთარ კაპიტალად.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების კომპონენტები

საწარმომ უნდა აჩვენოს ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების კომპონენტები და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხების შეჯერება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ ეკვივალენტურ მუხლებთან.

საწარმოს არ მოეთხოვება ამგვარი შეჯერების წარმოდგენა, თუ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახული ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების თანხა იდენტურია იმ თანხის, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაჩვენებია ანალოგიური სახელწოდებით.

სხვა განმარტებითი შენიშვნები

- საწარმომ, ხელმძღვანელობის კომენტარებთან ერთად, უნდა გაამჟღავნოს ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების მნიშვნელოვანი ნაშთები, რომლებიც საწარმოს ეკუთვნის, მაგრამ მათი გამოყენება საწარმოს არ შეუძლია (მიზეზები: უცხოური ვალუტის გაცვლის კონტროლი, სხვა საკანონმდებლო შეზღუდვები და ა.შ).

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.
- სრული ფასს საწარმოებს რეკომენდაციას აძლევს, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეადგინონ პირდაპირი მეთოდით. მსს ფასს-ში ამგვარი მითითება არ არსებობს.
- სრული ფასს საშუალებას იძლევა გარკვეული ფულადი ნაკადები წარდგენილ იქნეს ნეტო საფუძველზე. მსს ფასს-ში ამგვარი მითითება არ არსებობს.
- სრული ფასს მოიცავს მითითებებს შვილობილ საწარმოებში, მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების აღრიცხვაზე. მსს ფასს-ში ამგვარი მითითება არ არსებობს.
- სრული ფასს რეკომენდაციას უწევს საწარმოებს ასახონ ისეთი დამატებითი მითითებები, რომლებიც შეიძლება მომხმარებლისათვის სასარგებლო იყოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და ლიკვიდობის გასაცნობად. მსს ფასს-ში ამგვარი მითითება არ არსებობს.